საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N435 2015 წლის 20 ოქტომბერი ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის №411 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის №411 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

ირინე ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;

ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის №55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;

ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ფილოლოგი, საბჭოს მდივანი.".

№1

ირაკლი ღარიბაშვილი